



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის № (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება	6
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები	6
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების პერსონალი; თანამდებობრივი ინსტრუქცია	7
7. საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები	8
8. შემოწმება და კონტროლი	14
9. კინფიდენციალურობა	14
10. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი	15
11. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი	16
12. შეთანხმების ფურცელი	17



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება წარმოადგენს ბუსსს ანრის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების დებულებას, განსაზღვრავს განყოფილების საქმიანობის მიმართულებას, ფუნქციებს და ამოცანებს.
- 2) დებულება ვრცელდება ბუსსს ანრის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების თანამშრომლებზე და წარმოადგენს მათთვის ნორმატიულ დოკუმენტს.
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), ელექტრონული ვერსია ხელმოსაწვდომია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
- 4) არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
4. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
5. ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი**, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **დებულება** - განყოფილების სტატუსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განყოფილების მუშაობის მიმართულებები და ფუნქციები, უფროსის და თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების თანდართვით.
4. **სტუდენტი** - შპს ბუსსს ანრის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უმაღლეს და პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირები.
5. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
6. **კონფიდენციალურობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით.

შენიშვნა: კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტური აქტებით.

3.2 შემოკლებები

1. **ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**)
2. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

4. მფ-მოქმედი ფორმა
5. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

ბუსსს ანრის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება წარმოადგენს ბუსსს ანრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომლის დანიშნულებაცაა ბუსსს ანრის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ამ დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბუსსს ანრის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტებით;

სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, გენერალური დირექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.


5. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

➤ **საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიზნები:**

- 1) უზრუნველყოს ბუსსს ანრის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვა და მათი გამართული ფუნქციონირება;
- 2) სასწავლებლის საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირება;
- 3) სასწავლებლის ღონისძიებების ტექნიკური მხარდაჭერა;
- 4) საგანმანათლებლო პროცესების მართვის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების განხორციელება;
- 5) სასწავლო სივრცის განვითარება;
- 6) ელექტრონული სწავლების სისტემების დანერგვა;
- 7) უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება.

➤ **საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების ამოცანები და ფუნქციები:**

- 1) ინფორმაციის ტექნოლოგიის (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურების შემუშავება;
- 2) მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- 3) მონაცემთა დაკარგვის პრევენციის მიზნით სარეზერვო ასლების შექმნა;
- 4) ვირტუალური სერვერების მონიტორინგი; რეგულარული შემოწმება;
- 5) ინტერნეტის მუშაობის კონტროლი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- 6) სასწავლებლის შიდა სასწავლო კომპიუტერული ქსელის (ინტერნეტი) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და პროგრამული სისტემის სრულყოფა;
- 7) სასწავლებელში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება;
- 8) ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბაზების და ვებგვერდის მართვა, ადმინისტრირება.
- 9) კომპიუტერული ქსელის დაგეგმარება;
- 10) თანამედროვე ინფორმაციული სისტემების განვითარება და დანერგვა;
- 11) სასწავლებელში პროგრამული უზრუნველყოფის პროცესების ავტომატიზაცია და შესაბამისად სტუდენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- 12) თანამშრომლების დახმარება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში; საჭიროების შემთხვევაში მათი ტრენინგი;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

- 13) სასწავლებლის სერვერების (ელ-ფოსტა, ვები, სტატისტიკა, კრიტიკული ინფორმაციის რეზერვირება DNS, E-Flow, სასწავლო პროცესის მართვის ელ.სისტემა და სხვა) გამართული ფუნქციონირება და უსაფრთხოება;
- 14) სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის ბიბლიოთეკის აი-ტი მხარდაჭერა, რაც მოიცავს ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის ინსტალაციას, მონიტორინგსა და მხარდაჭერას;
- 15) სასწავლებლის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ადმინისტრაციის მიზნებისათვის გამოყენებული საინფორმაციო სისტემების საჭიროების შესწავლა, დაგეგმვა, დანერგვა და უკვე არსებული სისტემების მხარდაჭერა/ოპტიმიზაცია;
- 16) კრიტიკული სერვისების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- 17) საქართველოს კანონმდებლობით და სასწავლებლის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.


6. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების პერსონალი; თანამდებობრივი ინსტრუქცია

განყოფილებას ხელმძღვანელობს და საქმიანობას უძღვება საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანტავისუფლებს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი.

განყოფილების უფროსი, დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისას, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის გენერალური დირექტორის წინაშე.

6.1 განყოფილების უფროსის მოვალეობები:

- 1) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას
- 2) პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
- 3) წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- 4) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორს;
- 5) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
- 6) მონაწილეობს აი-ტი-სთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესში, რაც გულისხმობს მოთხოვნების და სპეციფიკაციების ჩამოყალიბებას, შეძენის ვადების განსაზღვრას და შეძენილი აპარატურის ექსპერტიზას;
- 7) საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება, ბუსსს ანრის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემების დაპროექტება, მისი ინტეგრირება არსებულთან უკეთესი ხელმისაწვდომობის, ეფექტური სტატისტიკის წარმოებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.
- 8) ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.
- 9) ბუსსს ანრის ბიბლიოთეკის ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სასწავლებლის მიერ შეძენილ მონაცემთა ბაზების მართვისა და მომხმარებლისათვის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) მიწოდების უზრუნველყოფა.
- 10) მომხმარებლების, (ბუსსს ანრის პერსონალისა და სტუდენტების), მხარდაჭერა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების ეფექტური გამოყენების მიზნით.
- 11) კომპიუტერული ტექნიკის, ქსელური მოწყობილობების და დამხმარე საოფისე ტექნიკის შეძენა, ინსტალაცია, მომსახურება და განახლება.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

- 12) მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში არსებული საწვრთნელი პროგრამების ინსტალაცია, აქტუალიზაცია, მართვა
- 13) სასწავლებლის ვებ-გვერდის მართვა, აქტუალიზაცია
- 14) სასწავლებელში არსებული ტექნიკური ბაზის აღწერა/ინვენტარიზაცია
- 15) თანამშრომლებისთვის ტექნიკური სწავლების ჩატარება პროგრამულ, კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობისთვის.

შენიშვნა: განყოფილების უფროსის მოვალეობები, პასუხისმგებლობა და უფლებები ვრცლად გაწერილია N 2-010201/47 ფუნქციონალურ მოვალეობაში.

6.2 კომპიუტერული სისტემების სპეციალისტის მოვალეობები:

- 1) აღრიცხოს და ჩაუტაროს ინვენტარიზაცია შპს ბუსსს ანრის ტექნიკურ საშუალებებს, საწვრთნელ დანადგარებს;
- 2) ყოველდღიურად გააკონტროლოს კომპიუტერული ტექნიკისა და ტრენაჟორული დანადგარების ტექნიკური გამართულობა;
- 3) კვირაში ერთხელ გადაამოწმოს სასწავლებლის განყოფილებებში არსებული კომპ.ტექნიკა და რაიმე ხარვეზის/შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს მათი აღმოფხვრა;
- 4) გააცნოს სტუდენტებსა და მსმენელებს ტექნიკასთან მუშაობის უსაფრთხოების წესები;
- 5) აწარმოოს საწვრთნელი დანადგარების ტექნიკური დოკუმენტაცია;
- 6) იცოდეს კომპიუტერულ ტექნიკასთან, ტრენაჟორებთან მუშაობის ინსტრუქციები;
- 7) საწვრთნელი კურსის დაწყების წინ მოამზადეს შესაბამისი დანადგარები გამოყენებისთვის;
- 8) საწვრთნელი კურსის მსვლელობისას საჭიროებისამებრ გაუწიოს დახმარება ინსტრუქტორს კომპიუტერული პროგრამების გამოყენებაში;
- 9) საწვრთნელ ცენტრში ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს უშუალო უფროსს;
- 10) ტრენაჟორული ტექნიკის პროგრამისტის არ ყოფნის დროს შეასრულოს მისი მოვალეობები
- 11) მართოს კომპიუტერული კლასი

შენიშვნა: კომპიუტერული სისტემების სპეციალისტის მოვალეობები, პასუხისმგებლობა და უფლებები ვრცლად გაწერილია N 2-010201/56 ფუნქციონალურ მოვალეობაში.

7. საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ინფორმაციის ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკის რეგულირების სფერო ვრცელდება ბუსსს ანრის სტუდენტებზე, აკადემიურ პერსონალზე, მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებზე, ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და ყველა პირზე, რომელსაც შეიძლება მიეცეს დაშვება სასწავლებელში არსებულ ინფორმაციულ რესურსებთან. იგი განსაზღვრავს უნივერსიტეტში დანერგილი ინფორმაციის ტექნოლოგიების, ქსელური სერვისების და სისტემების მოხმარების წესს.


❖ **სასწავლებლის წარმატებული სასწავლო და ბიზნესგარემოს შესაქმნელად სჭირდება:**

მხარდამჭერი ელექტრონული სერვისების და ციფრული მომსახურებების დანერგვა და განვითარება.

ინფორმაციის ტექნოლოგიის სამართავად ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კიბერთავდასხმებისგან დაცვას.

❖ **მართვის პოლიტიკის მიზანი**

- 1) ინფორმაციის ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკის მიზანია სასწავლებელმა უზრუნველყოს ერთიანი პრინციპით მოქმედი, უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-დამხმარე სექტორისათვის, სათანადო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

2) პოლიტიკა მიზნად ისახავს შიდა და გარე საფრთხეების მიმართ ინფორმაციული უსაფრთხოების დამცავი მექანიზმების, კრიზისული სიტუაციებისა და განზრახ დაზიანებების წინააღმდეგ ქვევის ძირითადი წესების შექმნასა და მისი მეშვეობით კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

❖ ინფორმაციის ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურა

ბუსსს ანრი-ს კომპიუტერული ქსელი და მასში რეალიზებული ერთიანი ინფორმაციული სივრცე, აერთიანებს სასწავლებლის შემადგენლობაში არსებულ ველა კომპიუტერს.

ბუსსს ანრი-ს გააჩნია კომპიუტერული ქსელის შემდეგი ტიპის ფიზიკური ინფრასტრუქტურა:

კაბელური და უკაბელო, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა, სიმულატორები და ტრენაჟორები.

ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო და ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, როგორცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სიმულატორები და სხვა სერვისები.

7.1 კაბელური და უკაბელო კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურა და მისი მართვის პოლიტიკა

➤ აღწერა

ბუსსს ანრი-ს ერთიანი კომპიუტერული ქსელი არის მნიშვნელოვანი ინფორმაციული რესურსი, რომელიც გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული- დამხმარე მიზნებით. კომპიუტერული ქსელი აერთიანებს ინტრანეტ და ინტერნეტ სერვისებს.

ქსელური ინფრასტრუქტურა

ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელშიც ჩართულია 90-ზე მეტი ქსელური კვანძი და ფარავს სასწავლებლის თითქმის მთელ სივრცეს არსებულ ლოკაციაზე: შალვა ინასარიძის ქ. №29.

ბუსსს ანრი-ს კორპუსში შეყვანილია ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი.

სასწავლებელში ჩართულ ყველა ქსელურ წერტილს მიეწოდება მინ 100მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი.

➤ მართვა

ბუსსს ანრი-ს კომპიუტერულ ქსელს მართავს ბუსსს ანრი-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური რომელიც პასუხისმგებელია სასწავლებლის ადმინისტრაციულ კორპუსში როგორც კაბელურ ისე უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტირებაზე, საინსტალაციო

სამუშაოების მონიტორინგზე და მართვაზე.

7.2 კომპიუტერული ქსელის მართვის პოლიტიკა

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი არის - ის შიდა ქსელში ჩართული მოწყობილობები ექვემდებარება ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა

უზრუნველყოფს სასწავლებლის ქსელში არასანქცირებული წვდომის შეზღუდვას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, მომხმარებელთა კომპიუტერების დაინფიცირების თავიდან აცილებას ეფექტური ანტივირუსული მექანიზმის გატარებით, არასასურველი ტრაფიკის გენერირების და სისტემაზე არასასურველი გავლენის თავიდან აცილებას.

7.3 ბუსსს ანრი-ს უკაბელო ქსელის ინფრასტრუქტურა და მართვის პოლიტიკა

➤ აღწერა

ბუსსს ანრი-ს ყველა კორპუსი, დაფარულია უსადენო კორპორატიული ქსელური ინფრასტრუქტურით.

უსადენო ქსელური ინფრასტრუქტურა (Wi-Fi). ბუსსს ანრი-ს მთელ პერიმეტრზე რეალიზებულია ერთიანი ცენტრალიზებული უსადენო ქსელი. უსადენო წვდომისთვის, სასწავლებლის კომპუსის შიდა დაფარვის ზონებისთვის, გამოყენებულია უსადენო წვდომის წერტილები. ყველა უსადენო წვდომის წერტილის მართვა და მონიტორინგი ხდება ცენტრალიზებულად, შესაბამისი კონტროლერით. უსადენო ქსელით დაფარულია სასწავლებლის კორპუსის დიდი ნაწილი.

➤ განმარტებები

გლობალური (Public) IP მისამართები:



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

31.146.98.14

ლოკალური (Private) IP მისამართები:

192.168.1.10 - 192.168.1.255

7.4 IP მისამართების მართვის პოლიტიკა

ბუსსს ანრი-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური განკარგავს ლოკალურ დამისამართებას, გამოყოფს და ანიჭებს IP მისამართებს.

სამსახური იტოვებს უფლებას დაბლოკოს გლობალური მისამართი, თუ ამ მისამართით გაშვებული სერვისის საფრთხეს უქმნის სასწავლებელში ან მის გარეთ არსებულ ინფრასტრუქტურას.

საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე კონკრეტული მოწყობილობისთვის, შესაძლებელია ლოკალური IP მისამართების რეზერვირება.

დაუშვებელია შეთანხმების გარეშე IP მისამართების თვითნებურად გაწერა.

7.5 სასწავლებლის ქსელში საბოლოო მოწყობილობის ჩართვის წესი

კომპიუტერის სასწავლებლის ქსელში ჩართვისას აუცილებელია:

ბუსსს ანრი-ს კომპიუტერულ ქსელში ჩართვა ხორციელდება გენერალური დირექტორის, რექტორის, ან სასწავლებლის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირის განკარგულების საფუძველზე.

განაცხადში უნდა იყოს მოცემული კომპიუტერის განთავსების და მისი კუთვნილების შესახებ სრული ინფორმაცია.

უნდა იყოს ცნობილი კომპიუტერზე დაკისრებული ამოცანა.

კომპიუტერის ფიზიკური ადგილმდებარეობის და კუთვნილების მიხედვით იგი ერთდება ფაკულტეტისთვის ან ადმინისტრაციისთვის გამოყოფილ ფიზიკურ სივრცეში.

სტუდენტთათვის განკუთვნილი კომპიუტერული კლასები ერთდება მათთვის ცალკე გამოყოფილ სივრცეში.

კომპიუტერის მიერთება ხდება მისი ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისი უახლოესი საკომუნიკაციო კვანძის მართვად მოწყობილობასთან.

კომპიუტერის სასწავლებლის ქსელთან მიერთების მომენტში ცნობილი უნდა იყოს მასზე განთავსებული ოპერაციული სისტემა, მისი ტექნიკური მახასიათებლები და მასზე ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა.

მასზე უნდა გამოიყოს ინდივიდუალური IP მისამართი საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მხრიდან.

მომხმარებელს არა აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს მისთვის გამოყოფილი IP მისამართი.

მომხმარებელს არა აქვს უფლება თვითნებურად წაშალოს პროგრამული პაკეტი კომპიუტერიდან.

პრინტერის ინსტალაციის დროს უნდა განისაზღვროს მისი განთავსების ადგილი და რომელ ჯგუფს ემსახურება იგი.

დაუშვებელია საუნჯერსიტეტო ქსელთან თვითნებური მიერთება

აკრძალულია სასწავლებლის ქსელში რაიმე ქსელური მოწყობილობის ჩართვა მომხმარებლის მხრიდან, ცენტრთან შეთანხმების გარეშე.

სასწავლებლის ქსელში პრობლემის წარმოქმნის დროს ხორციელდება მისი ლოკალიზაცია, მიზეზის დადგენა და პრობლემის აღმოფხვრა.

მონიტორინგის სისტემის მეშვეობით რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს სასწავლებელში არსებული სიმულატორების შემოწმება.

7.6 დაშვებული პორტები და სერვისები

უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად გახსნილია მხოლოდ ის პორტები და სერვისები, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისთვის არის მიზანშეწონილი და სასწავლებლის ქსელის გამართული და უსაფრთხო მუშაობისთვის არის აუცილებელი.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

7.7 ნებადართული პორტების ჩამონათვალი:

TCP: 8080, 81, 8081, 4725, 3369

უსაფრთხოების მიზნით დახურულია გარედან წვდომა

აღნიშნული პოლიტიკა გათვალისწინებულია იმისთვის, რომ ბუსსს ანრის-ს კომპიუტერული ქსელი იყოს მაქსიმალურად სასწავლებლის გარემოზე მორგებული, ასევე ქსელისთვის დამახასიათებელი უსაფრთხოების მაღალი რისკების გათვალისწინების და ბუსსს ანრის-ს ინტერნეტ ტრაფიკის არა სასწავლებლის მიზნებისთვის გამოყენების შესამცირებლად.

7.8 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უსადენო ქსელის (WI-FI) მართვის პოლიტიკა

ბუსსს ანრის სტუდენტებისთვის (BHMES "ANRI" STUDENTS), უსადენო ქსელში გამოყენებულია შემდეგი შეზღუდვები:

სტუდენტებს უკაბელო ქსელის გამოყენებით აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ყველა ის რესურსი, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებით არის მიზანშეწონილი.

ინტერნეტი-ტრაფიკის სიჩქარე შეადგენს 10 Mb/s

7.9 ინფრასტრუქტურაში პაროლების შენახვის და გამოყენების წესი

ყველა პაროლები ინახება ამ მიზნისთვის გამოყოფილ სპეციალურ დაცულ ადგილას და ის ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.

7.10 ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა

➤ **მიზანი**

პოლიტიკის მიზანია სტუდენტების და თანამშრომლების ინტერესების დაცვა, რომლებიც იყენებენ ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ის ინფორმაციული რესურსებს, რომლის მართვას და ადმინისტრირებას ახდენს ბუსსს ანრი-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური და სხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურები.

➤ **აღწერა**

ბუსსს ანრი-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა აერთიანებს ინტრანეტ და ინტერნეტ სერვისებს. ინტერნეტ და ინტრანეტ რესურსებთან წვდომისას მნიშვნელოვანია გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ბუსსს ანრი-ში შემუშავებულია უსაფრთხოების წესები.

უსაფრთხოების დოკუმენტი შექმნილია, რათა სასწავლებლის ქსელში ჩართული მომხმარებლები და მოწყობილობები ექვემდებარებოდეს ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანია სასწავლებლის ქსელში არასანქცირებული წვდომის შეზღუდვა, რესურსების ოპტიმალური გამოყენება, მომხმარებელთა კომპიუტერების დაინფიცირების თავიდან აცილება ეფექტური ანტივირუსული მექანიზმის გატარებით, არასასურველი ტრაფიკის გენერირების და სისტემაზე არასასურველი გავლენის თავიდან აცილება, საფუძველის მომზადება კონვერტირებული (სხვადასხვა ტიპის ტრაფიკის გადაცემაზე ორიენტირებული) ქსელის შესაქმნელად.

უსაფრთხოების წესების მიზანია, აგრეთვე ბუსსს ანრის-ს მომხმარებლები ინფორმირებული იქნენ სხვადასხვა ტიპის საფრთხეების და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ. ასევე უსაფრთხოების დოკუმენტში თავმოყრილია გარკვეული წესები, რომელიც უნდა დაიცვას სასწავლებლის ქსელში ჩართულმა თითოეულმა მომხმარებელმა.

უსაფრთხოების წესები ვრცელდება ბუსსს ანრის-ს ყველა მომხმარებელზე და მოწყობილობაზე. მისი დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლის, სტუდენტის და ყველა პირისათვის.

ინტერნეტში და ინტრანეტში მუშაობისას არსებობს უამრავი საფრთხე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის და სერვისების სხვა დასხვა ტიპის დაზიანება. ცნობილი საფრთხეებია:

თავდასხმები და დაზიანებები გამოწვეული ვირუსების ან ე.წ. "ტროას ცხენების" მიერ, კომპიუტერული სისტემის მიერ მომსახურებაზე უარის თქმა, ფიშერები და სხვა, რომელებიც



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

გამოწვეულია ადამიანის მიერ შექმნილი ბოროტგანზრახული პროგრამების მიერ. მსგავსი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა. სასწავლებლის ქსელი შეიძლება გახდეს სხვადასხვა ტიპის ხშირი თავდასხმის ობიექტი. ინტერნეტში პერმანენტულად ხორციელდება ქსელური სერვისების სკანირება, სუსტი წერტილების აღმოჩენის მიზნით, ხოლო მათი აღმოჩენის შემთხვევაში ხორციელდება კიბერთავდასხმა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა შეფერხებები.

უსაფრთხოების წესების დაცვა არის გარკვეული საშუალება რისკებიდან თავის ასაცილებლად, რაც ქსელში მუშაობას გახდის უფრო საიმედოს და უსაფრთხოს.

➤ **ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა**

ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის განხორციელებასა და განახლებაზე უფლებამოსილია ბუსსს ანრის-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

პოლიტიკის აღსრულების, პერიოდული განხილვის და განახლების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასწავლებლის ხელმძღვანელობა, და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

7.11 სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის პოლიტიკის მიზანი

სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის პოლიტიკა განსაზღვრავს ელექტრონული ფოსტის მართვის წესებს.

➤ **გავრცელების არე**

პოლიტიკა ვრცელდება სასწავლებლის საზოგადოების წევრებზე, რომელთაც აქვთ ბუსსს ანრი - ის ელფოსტის ანგარიში.


➤ **ზოგადი დებულებები**

ელექტრონული ფოსტა არის სასწავლებლის საზოგადოების წევრებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალება. ელექტრონული ფოსტა, რომელიც ფუნქციონირებს @mtc-anri.edu.ge დომენით, წარმოადგენს სასწავლებლის საკუთრებასა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებით. წერილის შინაარსის არწაკითხვა, არმიღება ან წაშლა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ელფოსტის ანგარიშის მფლობელს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 2 თანახმად სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების ელექტრონული ფოსტის ინდივიდუალური ანგარიშიდან განხორციელებული მიმოწერა წარმოადგენს მათ პირად ინფორმაციას და არ ექვემდებარება შინაარსობრივ მონიტორინგს, კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. ელექტრონული ფოსტის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვით სასწავლებლის საზოგადოების წევრებმა უნდა მიმართოს თავის უშუალო ხელმძღვანელსა და/ან სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს.

➤ **სახელმძღვანელო მითითებები**

ელექტრონული ფოსტის გამოყენება

- ✓ ელფოსტის გამოყენების სახეები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:
- ✓ სასწავლებლის საზოგადოების წევრებსა ან/და სასწავლებლის საქმიან პარტნიორებთან პირადი პასუხისმგებლობით კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცნობა/გაზიარება;
- ✓ საგანმანათლებლო, კვლევითი ან/და პროფესიული განვითარების საქმიანობაში მონაწილეობა. დაუშვებელია:
- ✓ საავტორო უფლებების დარღვევა, უხამსობის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების გავრცელება, თაღლითობა, პლაგიატი, დაშინება, გაყალბება, უკანონო პირამიდული სქემების შექმნა ან კომპიუტერული საზიანო პროგრამების გავრცელება და სხვა;
- ✓ ელფოსტის ანგარიშების ან ფაილების დათვალიერება, ასლის შექმნა, შეცვლა ან წაშლა ამ ანგარიშის მფლობელის ან სხვა პირის ნებართვის გარეშე;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

- ✓ ელფოსტის საეჭვო მისამართებიდან გამოგზავნილი შეტყობინების თანდართული დოკუმენტების, რომლებიც არიან ვირუსებისა და საზიანო პროგრამების გავრცელების პირდაპირი წყაროები, გახსნა;
- ✓ ელფოსტის ანგარიშის პაროლების გაზიარება სხვა პიროვნებასათვის ან სხვა პირის ელფოსტის ანგარიშის პაროლის გაგების მცდელობა;
- ✓ ელფოსტის კომერციული საქმიანობის, პოლიტიკური კამპანიის, ჯაჭვური წერილების გავრცელებისა და სხვა ასეთი საქმიანობისთვის გამოყენება.

ელექტრონული ფოსტის ანგარიშის შექმნა

- ✓ სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების ინდივიდუალური ანგარიში. ანგარიში ფორმირდება სახელისა და გვარის კომბინაციით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომბინაცია დაკავებულია, ემატება რიგითი ნომერი (დარეგისტრირების თანმიმდევრობის მიხედვით);
- ✓ ცალკეული სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, დეპარტამენტი და ა. შ.), კვლევით, სამეცნიერო, კულტურულ და სოციალური პროექტების და სხვა სპეციალური საფოსტო ანგარიშები ფორმირდება შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით და მათი მიმართვის საფუძველზე.

ფაკულტეტის წევრები/თანამშრომლები:

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ახალ თანამშრომელთა სიის თანახმად საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური ყოველი თანამშრომლისათვის ქმნის კომპიუტერულ და ელფოსტის ანგარიშს. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო აკადემიური პერსონალისათვის ფაკულტეტის ხელმძღვანელის წარდგინებით იქმნება სასწავლო/მასწავლებლის პროგრამების ანგარიში.

სტუდენტები:

ყოველი ახალი სტუდენტისათვის მისი რეგისტრაციისთანავე იქმნება ელფოსტისა და სასწავლო/მასწავლებლის პროგრამების ანგარიშები.

ანგარიშების გაუქმება

ფაკულტეტის წევრები/თანამშრომლები: ადამიანთა რესურსების სამსახურის მიერ გადმოცემული სასწავლებლიდან წასულ თანამშრომელთა სიის მიხედვით, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური აუქმებს ამ თანამშრომელთა შესაბამის ანგარიშებს.

სტუდენტები: სტუდენტის სტატუსის ცვლილება გავლენას არ ახდენს ელფოსტის ანგარიშზე. სასწავლებლის დამთავრების ან სტატუსის შეწყვეტა/შეჩერების შემდეგ განისაზღვრება მისი ანგარიშით სასწავლებლის კომპიუტერულ რესურსებზე წვდომის შეზღუდული უფლებები.

7.12 პაროლის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია შეიქმნას ძლიერი პაროლების შექმნის, მათი დაცვის და მათი ხშირად შეცვლის საჭიროების სტანდარტი ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი -ის კომპიუტერულ სისტემებსა და კორპორატიულ ელექტრონულ ფასტაში. პაროლი არის მნიშვნელოვანი ასპექტი კომპიუტერულ უსაფრთხოებაში. სუსტი პაროლის პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლებლის ქსელში არავტორიზებული შესვლა და/ან მისი კრიტიკული რესურსის არასანქცირებული გამოყენება. აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები ბუსსს ანრი -ს მომხმარებლებს დაეხმარება შეამცირონ საფრთხის რისკი.

აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები ვრცელდება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი -ის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მამტაბით .

პაროლი:

- 1) არ უნდა იყოს პირად ინფორმაციაზე დაყრდნობით შექმნილი(მაგ. სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და სხვა);
- 2) არ უნდა იყოს ე.წ. ლექსიკონის სიტყვა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

- 3) უნდა იყოს რაც შეიძლება გრძელი, მინიმუმ 8 სიმბოლო. უნდა შეიცავდეს მაღალი და დაბალი რეგისტრის ასოებს, ციფრებსა და სხვა სიმბოლოებს;
- 4) არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა ანგარიშებზე;
- 5) უნდა იყოს რაც შეიძლება ადვილად დასამახსოვრებელი;
- 6) კარგი პაროლის მაგალითი: K@rG1par0L1smaGaliT1

არასანქცირებული ფიზიკური მოწყობილობების მიერთების აკრძალვა სტუდენტებს და თანამშრომლებს ეკრძალებათ ნებისმიერი ქსელური მოწყობილობის შეერთება ბუსსს ანრი-ს ქსელში გარდა იმ შემთხვევისა თუ მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ. არასანქცირებული ქსელის მოწყობილობები შეიძლება იყოს სერვერები, მარშრუტიზატორები, კომპუტატორები, ჰაბები, უსადენო დაშვების წერტილები და სხვა. აღნიშნული მოწყობილობების არასწორად გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასწავლებელში არსებულ კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას.

უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა

ქსელის მოწყობილობების არასანქცირებული გამოყენების მცდელობა წარმოადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევას და გამოიწვევს დისციპლინარულ ქმედებას.


იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო არასანქცირებული საქმიანობა და გარკვეული სერვისების პარალიზება, სასწავლებელი უფლებას იტოვებს გათიშოს არასანქცირებული მოწყობილობა ქსელიდან და ამოიღოს ეს მოწყობილობა ხმარებიდან.

8. შემოწმება და კონტროლი

- 1) წინამდებარე დებულების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის სამსახური.
- 2) დებულების შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტორების მიერ შემოწმებების დროს.

9. კონფიდენციალურობა

არსებული პროცედურა წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for IT Centre

11. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი

	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	გურამ ქათამაძე	დეკანი	15.05.2019		
2	ბადრი დოლონაძე	პრორექტორი	15.05.2019		
3	მერაბ კვაჭაძე	შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	15.05.2019		
4	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო განყოფილების უფროსი	15.05.2019		
5	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების მენეჯერი	15.05.2019		
6	თამარ მიქელაძე	საერთო საცხოვრებელის ადმინისტრატორი	15.05.2019		
7	ილიას ბერიძე	სასწავლო გემის კაპიტანი	15.05.2019		
8	თემურ დევაძე	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი	15.05.2019		
9	მზია დუმბაძე	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	15.05.2019		
10	აკაკი ესანჯია	მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის უფროსი	15.05.2019		
11	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის უფროსი	15.05.2019		
12	ლერი არბენაძე	თვითმმართველობის პრეზიდენტი	15.05.2019		
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

12. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

**საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for IT Centre

ნდ N-2-010122

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
რუსუდან დიასამიძე;

იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი ირაკლი ბეჟანიძე				
2	განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე				
3					

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____
ხელმოწერა
სახელი, გვარი
თარიღი